საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მიქაელ ქართველი

ღირსნი მიქაელ და არსენ ქართველნი.

მიქაელ ქართველი, სასულიერო მოღვაწე, წმინდანი. მის შესახებ შემორჩენილი ცნობები მწირია. მოღვაწეობდა IX ს-ში იერუსალიმის პატრიარქ სერგის დროს. იგი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში ნახსენებია როგორც ულუმბოს მონასტრის აღმშენებელი – „წმიდათა მამათა ჩუენთა მიქაელ და არსენს, რომელთა აღაშენეს ულუმბოჲ“. როგორც ირკვევა, მ. ქ-მა და არსენმა ულუმბოს მთაზე ქართველთა ბერ-მონაზვნობას ჩაუყარეს საფუძველი.

საქართვ. სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ღირსი მიქაელის ხსენების დღეა 3 (16) მაისი.

ლიტ.: ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, თბ., 2004.

თ. მარგველაშვილი